10.55804/TSU-ti-2/Turmanidze

ლომის სიმბოლო ქართულ ლიტერატურაში

THE SYMBOL OF LION IN GEORGIAN LITERATURE

სოფიკო თურმანიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sophiko Turmanidze Shota Rustaveli Batumi State University

https://orcid.org/0009-0004-5971-4339

საკვანძო სიტყვები: *ლომი, სიმბოლო, მტაცებელი, ჰაგიოგრაფია, „ვეფხისტყაოსანი"*

Keywords: *lion, symbol, predatory, hagiography, "The Knight in the Panther's Skin"*

ABSTRACT

The subject of our research is the symbolism of the lion as a predator. The aim of the research is to present the symbolic paradigm of the named animal diachronically. It is interesting how the facial expression of the lion traveled from the ancient samples of Georgian writing to the literature of the later period. Hagiography relies on the Bible, therefore, the lion appears mainly as a symbol of evil due to its predatory nature. In heroic literature, its understandings are different - the lion is found in both negative and positive contexts. It can be said that one of the things that differentiates secular and religious writings is the different understanding of specific symbols. The topic is relevant even today, because we find symbols, metaphors and allegories everywhere and all the time. We use it in speaking, writing, even in our daily life. The symbol is the greatest phenomenon in artistic thought. It turns the event into an idea in such a way that the latter becomes inaccessible and infinitely effective. That's why it's always worth searching for. Scientists of all times and eras have attached great importance to the research of symbols, and today we have facial linguistic paradigms for many subjects. As such, we often find the lion in mythology, in the culture of different countries, in royal initiations, in arts and religions. Georgian culture also knows this symbol very well. The best illustration of this is "Golden Lion" dated to the second half of the III millennium. It should not be a coincidence that at that time Kartvelian tribes paid special attention to this animal and began to depict it. The lion, as the embodiment of a strong guard, can be found on the Georgian coat of arms. The lion is also represented on the shields of the kings of ancient countries. In the history of Georgia, the lion is represented on the equipment of Vakhtang Gorgasali. Of course, a great deal of knowledge and experience about symbols has been accumulated by scientists of old and new times, but we still think that turning to this subject will always allow us to make new conclusions, because facial thinking is inexhaustible. In each era, this or that symbol acquires a new meaning. That is why we were interested in the diachronic study of the symbolism of the lion. The research method is the comparison-analysis of the symbolic meanings of the lion. Depending on the content of the text, we search the context in which the named animal is given and make parallels from other texts. In this respect, the symbolism of the lion is very diverse: although hagiography and hymnography are uniquely based on the Bible the linguistic understanding of the lion is still different. Finally, after the diachronic picture of the lion's symbolism we will find that, in contrast to religious writings, in secular writings, especially in The Knight in the Panther's Skin.

სიმბოლური აზროვნება ყველა დროსა და სივრცეში საინტერესოა. საკითხი იმდენად ამოუწურავი და განახლებადია, რომ ყოველთვის ღირს მისი ხელახალი ძიება. საინტერესოა არა მხოლოდ ცხოველთა ან, ზოგადად, სულიერ არსებათა ანალიზი, არამედ უსულო საგანთა სიმბოლოების დეტალური განხილვაც. ამ შემთხვევაში ჩვენ ლომთან დაკავშირებულ მხატვრულ ხერხებს.კვლევისას შევნიშნეთ, რომ ხშირ შემთხვევაში ალეგორია, მეტაფორა იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული სიმბოლოსთან, რომ მათ შორის საზღვრის გავლება შეუძლებელია. უფრო მეტიც, გამოყენებული შედარების დროსაც ხშირად გვიწევს შესადარებელი ცხოველის ბუნების დეტალური შესწავლა, რათა უფრო ჩავწვდეთ ავტორის ხედვასა და დამოკიდებულებას შესადარებელი საგნის მიმართ. რ. სირაძე

განმარტავს: „სიმბოლოს ზოგადი თვისებაა ნიშნისა და აღსანიშნის ერთიანობა“ (სირაძე, 1982: 76). არის შემთხვევები, როცა მათი ერთმანეთისგან განსხვავება მარტივია. მაგალითად, იგავ-არაკებში ალეგორიული ხასიათისაა, რადგან თავად ეს ჟანრი მწერლობისა ალეგორიული ხასიათისაა და ამა თუ იმ ცოცხალი არსების ნიშან-თვისება გულისხმობს ადამიანის სულიერი მდგომარეობის წარმოდგენას. შესაბამისად, შედარებული საგნის არსი გადადის შესადარებელი საგანში. სიმბოლოს არსი კი თავისთავად რჩება, უფრო მეტიც, ის გამოხატავს იდეას, რომელიც მოვლენას, საგანს ქმედითუნარიანს და ამოუწურავს ხდის.

ლომს, როგორც ასეთს, ხშირად ვხვდებით მითოლოგიაში, სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში, სამეფო ინიციაციებში, შემოქმედებასა და რელიგიებში. არც ქართული რეალობისთვისაა ის უცხო. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებული „ოქროს ლომი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იმ დროში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ქართველურმა ტომებმა ამ ცხოველს და დაიწყო მისი გამოსახვა. ლომი, როგორც ძლიერი მცველის განსახიერება, გვხვდება ქართულ გერბზე. მგავსი გამოხატვა არ არის უცხო სხვა ქვეყნების ჰერალდიკებზე. ლომი წარმოდგენილია ძველი ქვეყნების მეფეების ფარებზეც. საქართველოს ისტორიაში ლომი წარმოდგენილია ვახტანგ გორგასლის საომარ აღჭურვილობაზე: „ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 180)

ლომი ჰაგიოგრაფიაში იშვიათად არის ნახსენები, თუმცა ჰიმნოგრაფიასა და შემდგომ საერო მწერლობაში დიდი ადგილი უჭირავს და მას სხვადასხვაგვარი გაგება აქვს. უმეტეს შემთხვევებში ის ემყარება ბიბლიურ სიმბოლოს, სადაც ლომი ძლიერების, ბოროტების ან ღმერთის ძლევამოსილების სიმბოლოა. ლომის სახისმეტყველური გაგება დაყრდნობილია თავის სიძლიერესა და ძლევამოსილებაზე. თავისი კანის ფერის მიხედვით, ის განასახიერებს მზესაც. ლომი ასევე გამოხატავს გამარჯვებას ამქვეყნიურ ვნებებზე. ზვიად გამსახურდია თავის ნაშრომში „ვეფხისტყსაოსნის სახისმეტყველება“ მიმოიხილავს მითებსა თუ ლიტერატურაში გადმოცემულ ამბებს ლომთან დაკავშირებით, ასევე ქართული თუ უცხოური ხელოვნების ნიმუშებს და აღნიშნავს, რომ „ლომი ორგვარი სახით გვხვდება მისტერიებში, მითებში და შუასაუკუნეთა ლიტერატურაში: როგორც მოწინააღმდეგე და აგრეთვე, როგორც შემწე, მეგობარი“ (გამსახურდია, 1991:138). ლომი არის ასევე მარკოზ მახარობლის სიმბოლო, ამიტომაც მას ხშირად გამოსახავენ მასთან ერთად ნიშნად მარკოზის ქადაგებების ძლიერებისა წარმართობაზე. ბიბლიაში ლომი იუდას ცხოველადაც ითვლება. როგორც ვნახეთ, ხსენებულ მტაცებელ ცხოველსაც მრავალმხრივი და ურთიერთსაპირისპირო სიმბოლურიგაგება აქვს. სწორედ ამიტომაც არის ჩვენი კვლევის საგანი. სახისმეტყველებაზე ღრმად „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზის დროს ვისაუბრებთ.

„წმინდა გობრონის ცხოვრება“ უნიკალურია იმით, რომ თავად ავტორი, სტეფანე მტბევარი კათალიკოსი, ხსნის, თუ რომელი ცხოველი რას განასახიერებს, რისი სიმბოლოა თითოეული ბიბლიური თვალთახედვით. თხზულებაში მოხმობილია ესაია წინასწარმეტყველის ცნობილი სიტყვები: „მაშინ ძოვდენ მგელნი კრავთა თანა და ვეფხი განისუენებდეს თიკანთა თანა, ჴბოჲ და კუროჲ და ლომი ერთად ძოვდენ“ (ესაია, 11: 6). აქვე გვხვდება განმარტებაც, რომელსაც ჰაგიოგრაფი იძლევა: „მგლად და ვეფხად სიბოროტისა მათისა მძჳნვარებასა იტყჳს, მჴეცის სახედ /მოსწრაფედ დათხევასა სისხლისასა, და ლომად/ მძლავრობასა მას, მათსა მთავრობასა, იტყჳს დანიელის ჩუენებითა ხილვასა მას მჴეცთასა; დათუად მოასწავებს სპარსთა მეფობასა ბაბილოვნს და ლომად სარკინოზთა მეფობასა ბაღდადს ბაბილოვნისასა, და თიკნად მწვალებელთასა იტყჳს, რომელნი მდუმრიად აჩუენებენ და შინაგანად მგელ“ (მტბევარი, 2008: 270). ყველა მტაცებელი ცხოველი: მგელი, ვეფხვი, ლომი, დათვი ბოროტების, მძვინვარების, ძალადობის სიმბოლოდ გვევლინება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თიკანი არის თვალთმაქცობის სიმბოლო, რადგან ის შინაგანად და რეალურად მგელია. სახე-სიმბოლოების ზოგადი მნიშვნელობის აღნიშვნის გარდა, ასევე, გვხვდება კონკრეტული განმარტებაც. მაგალითად, დათვში ბაბილონში სპარსთა მეფობას გულისხმობს, ლომში - სარკინოზთა მეფობას ბაღდადში. ვფიქრობთ, დათვისა და ლომის მეტაფორად გამოყენებით მთქმელი გულისხმობს სპარსთა და სარკინოზთა შეუბრალებელ მეფობას. მსგავსი სურათი ბიბლიაშიც იხატება, როცა იაკობი თავისი შვილების დასახასიათებლად თითოეულს სხვადასხვა სიმბოლოს შეუსაბამებს და ამგვარად ის ამცნობს მათ თავიანთ მომავალს.

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი ადგილი უჭირავს ლომს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ცხოველს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში, ბიბლიასა და ფოლკლორშიც კი მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს: „ლომი ხშირადაა ღმერთის განსახიერება... მზე არის ლომი. ლომი არის მზის სახლი. ლომი არის მეფის გამოხატულება; ლომი არის ძლიერების, ცეცხლის, მხნეობის დასილამაზის გამოხატულებაც და სხვა“ (ნოზაძე, 1957: 381). პოემაში ამ და სხვა სახისმეტყველური გაგებითაც გვევლინება.

დასახელებული ცხოველი „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია 75-ჯერ. შოთა რუსთაველის გაგებით, ლომი არის მეფური წარმომავლობის, რაინდობის, გმირობისა თუ ძლიერების სიმბოლო და მას ძირითადად იყენებს მეფეების დახასიათებისას მათი უძლეველობის, სიმამაცისა თუ სხვა თვისებების

ხაზგასმისათვის. პოემაში ლომი სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება. ვიქტორ ნოზაძე თავის შრომაში - „ვეფხისტყაოსნის“ ბუნებისმეტყველება“ - საუბრობს ლომის გამოყენების ტენდენციებზე და ის გვაძლევს შემდეგ კლასიფიკაციას:

- ლეკვი ლომისა;
- „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი: ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი, სარიდანი;
- ლომი მწერლობაში;
- ლომი - ზრდილობის სიტყვა;
- სისხლი ლომისა;
- ლომი და კატა (ნოზაძე, 1957: 381-387).

ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ლომის სიმბოლურ დატვირთვასა და იმაზე, თუ ვისთან ან რასთან არის შედარებული და რა თვისებით. მსჯელობა დაგვეხმარება დავამსხვრიოთ სტერეოტიპები, რომლებიც ახლავს პოემაში გამოყენებულ ერთ-ერთ აფორიზმს. „როსტევან არაბთა მეფის ამბავში“ ნათქვამია „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (12). რა იგულისხმება ლომსა და ლომის ლეკვში? რაზეა საუბარი ამ აფორიზმში, ზოგადად ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე თუ მეფის შვილების თანასწორობაზე?

ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ თითოეული სახე-სიმბოლო - წარმოდგენილნი მეტაფორის სახით, - რომლებიც ნახსენებია მოცემულ აფორიზმში. ბიბლიაში ქრისტე, როგორც ღვთის ძე, ღვთის შვილი, ლომის ლეკვად მოიხსენება. როგორც უკვე ვთქვით, ლომი მეფის სიმბოლოა, ლეკვი კი - მეფის შვილისა. ლომის ლეკვები, იქნება ეს ძუ თუ ხვადი, თანასწორია. მაშასადამე, აფორიზმში საუბარია მეფის შვილების, მეფის ვაჟთა და ასულთათანასწორობაზე. თანაც თუ გავითვალისწინებთ კონტექსტს, თუ რისთვის მოჰყავთ ვეზირებს ეს არგუმენტი, კიდევ ერთხელ დასტურდება დებულება, რომ ზემოთ ნახსენებ აფორიზმში იგულისხმება მეფის შვილების თანასწორობა თავად მეფის მიმართ.

„ვეფხისტყაოსანში“ ლომი, როგორც უძლეველობისა და სიფიცხის სიმბოლო, გამოყენებულია ავთანდილის, ტარიელის, ფრიდონისა და სარიდანის დასახასიათებლად. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან პოემა ჰეროიკული ხასიათისაა და შოთა რუსთაველი გმირების დასახატავად იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს, აიდეალებს მათ და სიძლიერით ცხოველთა მეფეს ადარებს. გმირების ლომთან შედარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი საზოგადოების უმაღლეს ფენას ეკუთვნიან. ამიტომაც, ზემოთხსენებული პერსონაჟების გარდა, არცერთი მოქმედი პირი არ არის გაიგივებული ლომთან (როსტევანი თავად მეფეა, როგორც ლომი). შოთა რუსთაველი მეფეებსა და რაინდებს უთანასწორებს ერთმანეთს, რაც არა მარტო ლომის სიმბოლოში გაერთიანებით, არამედ პოემაში განვითარებულ ბევრ მოვლენაში ვლინდება, მაგალითად, როსტევან მეფისა და ავთანდილის ერთად ნადირობაში. აქვე დავძენთ, რომ დედაკაცი არასდროსაა შედარებული ლომთან, თუმცა ეს არ უნდა ჩავთვალოთ იმად, რომ პოემის მარგალიტები: თინათინი, ნესტანდარეჯანი არ წარმოადგენენ საზოგადოების უმაღლეს ფენას ან ძლიერ პერსონაჟებს. ისინი ძლიერებისა და სამეფო წარმომავლობის აღსანიშნავად შედარებულია ვეფხვთან. „ვეფხი მდედრობითი ასპექტია ლომისა. შემთხვევითი როდია, რომ ძუ ლომი უფრო ჰგავს ვეფხვს თავისი კონფიგურაციით, ვიდრე ხვად ლომს“ (გამსახურდია, 1991: 138). მიზეზი იმისა, თუ რატომ არ არიან ისინი გაიგივებული ლომთან, როგორც სხვა იმავე რანგის პერსონაჟები, არის ის, რომ „ლომი ბერწობის ნიშანია“ (ნოზაძე, 1957: 383). უძველესი რწმენით, თუკი ქალი, რომელსაც შვილები ჰყავდა, შეხვდებოდა დედალ ლომს, აუცილებლად დაკარგავდა შვილოსნობის უნარს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოემაში ლომი 75-ჯერაა გამოყენებული, აქედან 19 შემთხვევაში - მიმართვის სახით. მაგალითად: როცა თინათინი ესაუბრება ავთანდილს: „მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე“ (32); როსტევანიშეუთვლის ავთანდილს: „ებრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გარდუხდელობა“ (34). პერსონაჟები ერთმანეთს საკუთარი სახელით არასდროს მიმართავენ. ეს შემთხვევითი არ არის და ამას გარკვეული ახსნა-განმარტება მოეძებნება. ურთიერთმიმართვები უფრო აღმატებული სიტყვებითაა შეფერადებული, ისინი ამგვარად ერთმანეთისადმი დიდ მოწიწებას, სიყვარულსა და მოკრძალებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ვიქტორ ნოზაძე მიიჩნევს, რომ ეს გარკვეული წესი და ეტიკეტია: „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებაში სახელით მიმართვა, სახელის დაძახება უზრდელობა ყოფილა! და ზრდილობის წესს კი ეკუთვნის არა სახელის თქმა, არამედ წოდება - ლომო. სიტყვა „ლომი“ ამ შემთხვევაში არის სავალდებულო ეტიკეტის წესი“ (ნოზაძე, 1957: 384). ეტიკეტს არც ვაჭარნი, საზოგადოების ქვედა ფენის წარმომადგენლები, არღვევენ. პოემაში გვხვდება შემთხვევა, როცა ისინი ავთანდილს აღმატებულად მიმართავენ: „ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა“ (206).

უდავოა, რომ ლომი ძლიერების სიმბოლოა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიმსჯელოთ, რას შეიძლება წარმოადგენდეს ლომის სისხლი: „მუნ ჰპოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად, მკერდსა დაასხა, გა-ვე-ხდა ლაჟვარდი ფერად ლალისად“ (267). ავთანდილი დაინახავს ტარიელს, რომელიც ძირს ცეცხლით გარუჯულივით იწვა და დააპირებს წყლის მოძებნას, მაგრამ ის მოულოდნელად იპოვნის ლომის სისხლს, დააპკურებს მკერდზე და ცოცხალმკვდარი ტარიელიც გამოფხიზლდება და დაუბრუნდება მის ჩვეულ სახეს. ლომი განასახიერებს სინათლესა და ცნობიერების განახლებას, ამიტო-

მაცაა, რომ ავთანდილი ტარიელს ლომის სისხლით უბრუნებს ცნობიერებას. „ლომთან მებრძოლი გმირები, განასახიერებენ ადამიანის ბრძოლას თავის თავთან, საკუთარ ნებელობასთან“ (გამსახურდია, 1991: 134). ამ შემთხვევაში ლომი არის სიმბოლო ბრძოლის, სულის ხორციელ ვნებებზე გამარჯვებისა და განახლებისა. სისხლი, როგორც სიცოცხლის წყარო, პირველყოფილი ადამიანის ერთგვარი რწმენის გამოხატულებაა, რაც შემდეგ თეოპაგიის სახელით გვევლინება. მკვდარი ადამიანი მოითხოვს ხორცსა და სისხლს ძალოვანისგან, იქნება ეს ღმერთი, ან სულაც მხეცი, მტაცებელი ცხოველი. ავთანდილის მოქმედება სწორედ ამ რწმენას უკავშირდება.

შოთა რუსთაველი ღრმად განსწავლული პიროვნება იყო ასტროლოგიაში. ამ ცოდნას ოსტატურად იყენებს თავის პოემაში, როგორც კონკრეტულ თავებში, ასევე იდეურად. ავტორი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეერთებას, სამუდამო შეხვედრას მეტაფორულად გამოხატავს მზისა და ლომის ეტლებით. ცნობილია, რომ ყოველ მნათობს საკუთარი სავანე აქვს. მზის მოსასვენებელი არის ლომი. მზე ყველაზე სრულყოფილია, როცა შედის ლომის ზოდიაქოში. ნესტანის წერილში, რომელსაც ტარიელს წერს, ვკითხულობთ: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი, განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, მისი წბილი“ (260). მიჯნური მოყმეს ამ მხატვრული ხერხით უსაბუთებს, რომ მხოლოდ მასთან შეხვედრის შემდეგ სრულ იქმნება და გაბედნიერდება. პოემაც სწორედ მაშინ სრულდება, როცა ნესტანდარეჯანი და ტარიელი დაქორწილდებიან. მათი სამუდამო შეყრის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოება და გარემო იმდენად იდეალურ სახეს მიიღებენ, სადაც თხა და მგელი ერთად სძოვენ. მზის, როგორც ზოდიაქოს, დავანებით ლომში, იდეურად გამოხატულია ასევე თინათინისა და ავთანდილის შეყრა ამ უკანსკნელის მიერ უცხო მოყმის 3 წლიანი ძებნის შემდეგ: „მერმე მოდი, ლომო, მზესა, შეგეყრები, შემეყარე“ (32). თინათინი თავის საიდუმლო მიჯნურს აგზავნის უცხო მოყმის საძებნად სამი მიზნით:

1. ავთანდილმა თინათინის მიმართ სიყვარული ღირსეულად უნდა დაამტკიცოს;
2. როსტევანის სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად;
3. სახელმწიფო კეთილდღეობისთვის.

როგორც ვხედავთ, მიჯნურთა (ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და ავთანდილის) შეყრა განაპირობებს მათთვის სულიერი სიმშვიდის მოპოვებას, რაც მყარ საძირკველს უქმის სამომავლო კეთილდღეობას, სრულყოფილებას. ეს იდეა მეტაფორულად არის გადმოცემული მზის ლომში დავანებით.

ლომი, როგორც მეომრული სიძლიერის გამოხატულება, ხშირად გამოიყენება საგმირო ხასიათის თხზულება „ამირანდარეჯანიანში“. რიგ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად გვხვდება მიმართვის სახით. ამით გმირები ერთმანეთის ძლევამოსილებას აღიარებენ და პატივისცემას გამოხატავენ. უმეტესად მეტაფორის სახით გვევლინება. დასახელებული თხზულების გმირები: ამირან დარეჯანის ძე, „უსწორო“ ამბრი არაბი, სეფედავლე დარისპანის ძე, ანთარქავის ძე, დიდებული ომარი, აბუტარი, „კაცი ბერი და შვენიერი“ იამანი და ბადრი. მოსე ხონელი ზოგიერთი მათგანის დასახასიათებლად იყენებს „ლომ ჭაბუკს“. მხოლოდ ოთხი გმირის შემთხვევაში იყენებს აღმატებითი ხარისხის ფორმას: „ლომთა ლომს“: „გაიხარნა და ეგრე თქვა, ვითა: დღეს იგი მობაღდადე ჭაბუკი, რომელ არის ლომი ლომთა ამირანდარეჯანის ძე“ (ხონელი, https://library.iliauni.edu.ge), „თუცა არა გვქონებოდა შეწევნა ღმრთისა და იგი წამალი, მაშა, იგი ლომთა-ლომი სეფედავლე დარისპანისძე უბადოდ მოკვდებოდა“ (ხონელი, https://library.iliauni.edu.ge), „ისი დევთა არის და იგი ლომთა ლომი ბადრი იქი შიგან არისო“ (ხონელი, https://library.iliauni.edu.ge), „იგი ლომთა ლომი, უსწორო ჭაბუკი ამბრი არაბი მოკვდა და მით შავითა არის ყოველი არაბეთი და იამანეთიო“ (ხონელი, https://library.iliauni.edu.ge). პერსონაჟების სიძლიერე ასევე დასტურდება ლომვეფხვებთან შებრძოლებით. იგივე პასაჟი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“. ეს შემთხვევითი არც არის. ვფიქრობთ, ერთ კულტურაში წარმოშობილი ჰეროიკული ხასიათის თხზულებებში ბევრი საერთო ბუნებრივია. ამირან დარეჯანის ძის ამბავში ვკითხულობთ: „ზენაარმან ღმრთისამან და თავმან თქვენმან, ხუთასი ლომი და ვეფხვი მოვკალით“ (ხონელი, https://library.iliauni.edu.ge). უფრო მეტიც, დასახელებული მტაცებელი, მძლეთა მძლე ცხოველის მოკლვა „ამბრი არაბის ამბავში“ შედარებულია კატის მოვლასთან: „სადაცა მინდორსა შიგან ლომი დახვდის, მან ცოტამან ყმამან, ვითა კატა, მოკლის“ (ხონელი, https://library.iliauni.edu.ge). მსგავსს შედარებას ავთანდილიც იყენებს თავისი წარსული სიძლიერისა და დიდების აღსანიშნად. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვისრამიანში“ ეს დეტალი მხოლოდ პერსონაჟების მეომრულ ნიშან-თვისებებს გვიხატავს. ტარიელის შემთხვევაში კი ლომ-ვეფხვის დახოცვა დაკავშირებულია ვნებებთან, შეყვარებულის მოგონებასთან. მას არ მოეწონა გაბოროტებული ლომის უხეში ქცევა ვეფხის მიმართ: „ლომსა დავუგმე ნაქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა, შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა“ (რუსთაველი, 2009: 182). „ტილისმათა ამბავში“ აღწერილია ურიცხვი ლომის ხოცვის ამბავი, სადაც ქაოზ ქოსის ძემ დაამსხვრია სპილენძის ლომი, რომელსაც სხვა დანარჩენი ემორჩილებოდა და ამის შემდეგ დაიფანტა ყოველი ცხოველი. ვფიქრობთ, ამ ამბავში გმირების ძლიერებასთან ერთად დასტურდება მოხერხება და გონიერება.

ლომის საინტერესო თვისებას წარმოგვიდგენს ჭაბუა ამირეჯიბი თავის გენიალურ თხზულებაში - „დათა თუთაშხია“. მართალია, ამ შემთხვევაში ის არ ეყრდნობა ლომის სიმბოლურ გაგებას, მაგრამ კვლევისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ ამ დეტალზე ყურადღების გამახვილება, რადგან სინქრონულად აღვწეროთ, რა გზა განვლო ამა თუ იმ მტაცებელი ცხოველის სახისმეტყველებამ. ლაზი ეუბნება არაკს ნანოს: „ლომია დაჭრილი ... სისხლი მოსდის მკერდიდან და გარშემო აფთრებს სიხარული აქვთ და ზეიმი, ლომი რომ კვდება და ლეში მათ რომ დარჩებათ, იმიტომ. გაგულისდება ლომი, მოიკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს, წამოუხტება აფთრებს, სისხლის გუბეს დააყენებს მათსას. იბრძოლებს დიდს, გამოელევა ილაჯი, ჩავარდება მათი სისხლის გუბეში და ბანაობს შიგ. ისეა არაკში, რომ მტრის და მოშურნის სისხლმა უნდა მოუშუშოს და შეუხორცოს ჭრილობა ლომს“ (ამირეჯიბი, https://eon.ge). ლაზი ამ არაკის იდეას ადარებს ვაჟა-ფშაველას „არწივის“ აზრს და აღნიშნავს, რომ ლექსში დაჭრილი არწივის მიმართ მკითხველებს ყოველ ჯერზე სიბრალულის გრძნობა უჩნდება, ხოლო ლომის მიმართ არა. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელი მტაცებლის ლიტერატურული სახე უმეტესად შიშის მომგვრელია.

გრიგოლ რობაქიძე „გველის მჭამელში“ იყენებს, ლომს, მზესთან ერთად, როგორც სპარსეთის ემბლემას, ასევე, ნაყოფიერების სიმბოლოდ: „...სერიდან სამხრეთ დიდი ქვის ლომი წითური: თითქო მზით ნაყვავილევი. ქვის ლომი: კირსილისაგან ჩამოსხმული. კირში - მზის ხურუში და სილაში - მზის თესლები. ქვის ლომი ფარია ქალაქის. სპარსეთის ტიტველ ნაპრალებიდან, საცა გახელებული მზე ავხორცობის ჟინს იკლავს, ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება სუნთქვაშეკრულ ხევებში და გრიალის ბრაზიანი ღვარი შორს-შორს დიდ მანძილზე არღვევს ირანის მყუდროებას. არის ამ გრიალში უცნაური სითავადე: უტეხი და ზვიადი. ქვის ლომი ხმალია ჰამადანის. დიდი შუადღის ჟამს როცა საგნები თავის ლანდებს ჰკარგავენ ქვის ლომთან მიდის სნეული: უნაყოფო თუ ათაშანგით დადაღული“ (რობაქიძე, 2018: 7). სპარსული სამყაროსთვის ლომი უცხო არასდროს ყოფილა. მას გამოსახავდნენ ტაძრებში, სახლებში, მონეტებზე და ყველა თვალსაჩინო ადგილას.

როგორც ვნახეთ, ჰაგიოგრაფიაში ლომის სახისმეტყველება დაკავშირებულია მხოლოდ ბიბლიურ წარმომავლობასთან და არის ბოროტი ძალის სიმბოლო. საინტერესოა, რომ ბიბლიაში ლომს სხვა გაგებაც აქვს, მაგრამ ქართულ სასულიერო მწერლობაში სწორხაზოვანი მნიშვნელობა აქვს, ჰიმნოგრაფიაში უფრო მრავალფეროვანი განმარტება აქვს. მაგალითად, ღვთიური ძალმოსილება. „მეფეთა ცხოვრებაში“ გვევლინება სამეფო ინიციაციის სიმბოლოდ ვახტანგ მეფის მუზარადზე. „ვეფხისტყაოსანში“ ლომს არაერთგვაროვანი სახისმეტყველური მნიშვნელობა აქვს შოთა რუსთაველი ეყრდნობა როგორც მითოლოგიურ წყაროებს, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში დამკვიდრებულ გაგებებს. „ვისრამიანში“ მეომრობის სიმბოლო აქვს. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში კი ლომი წარმოდგენილია როგორც ბოროტების, ძლიერების, ასევე, ნაყოფიერების სიმბოლოდ.

ლიტერატურა

ბიბლია. (2009). თბილისი.

გამსახურდია, ზ. (1991). „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გამ: „მეცნიერება“, თბილისი.

მტბევარი. (2008). ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I-II-III ტ, თბილისი

ნოზაძე, ვ. (1957). „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12060/1/Varskvlavtmetkveleba%20-.pdf

რობაქიძე, გრ. (2018). გველის პერანგი, თბ, გამ: „არტანუჯი“.

რუსთაველი, შ. (2009) „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი

სირაძე, რ. (1982). სახისმეტყველება, თბილისი: „ნაკადული“

ამირეჯიბი, ჭ. დათა თუთაშხია“ იხ. https://eon.ge;

ხონელი,მ. „ამირანდარეჯანიანი“ https://library.iliauni.edu.ge